

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №83
2017 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისი

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე
დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრის
შესახებ

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები“, დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტსა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს:

ა) შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ფაილურ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების წაშლის ან/და განადგურების ტექნიკური ორგანიზება;

ბ) იმ მონაცემების დაცვა, რომლებიც არ ექვემდებარება წაშლას და განადგურებას.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი

სოზარ სუბარი

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები

მუხლი 1.

1. საერთაშორისო დაცვის პროცედურის მიმდინარეობისას დამუშავებული პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია ამ მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.
2. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, პერსონალური მონაცემები მუშავდება საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, პირის იდენტიფიცირებისა და პარალელური პროცედურების თავიდან აცილების მიზნით.
3. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადის ათვლა დაიწყოს მონაცემის ფაილურ სისტემაში ასახვისთანავე.
4. ფაილურ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, მონაცემი უნდა წაიშალოს ან/და განადგურდეს.

მუხლი 2.

1. დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;
 - ბ) წაშლა – შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებულ მონაცემთა ელექტრონულ მატარებელზე არსებული პერსონალური მონაცემების ისეთი ფორმით გასუფთავება, როდესაც ამ მონაცემის შინაარსის აღდგენა შეუძლებელია;
 - გ) განადგურება – შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებულ მონაცემთა მატერიალური მატარებლის ან მასზე არსებული პერსონალური მონაცემის ისეთი ფორმით განადგურება, როდესაც ამ მონაცემის შინაარსის აღდგენა შეუძლებელია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მოცემულ ტერმინების გარდა, ამ დანართში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3.

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პერსონალური მონაცემების შენახვის ვადად განისაზღვრება ამ პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებამდე ან გარდაცვალების ფაქტის დადგენამდე პერიოდი, გარდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე აღებული თითის ანაბეჭდებისა.

2. იმ პირის პირად საქმეში არსებული პერსონალური მონაცემები, ვის მიმართაც არსებობს სამინისტროს ან სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ინახება მისი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან 10 წლის ვადით, ხოლო საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ სამინისტროს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან – 10 წლის ვადით.
3. პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით განმეორებით მიმართვის შემთხვევაში, მის პირად საქმეში არსებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა აითვლება მის მიერ განმეორებითი განცხადების რეგისტრაციიდან.
4. იმისათვის, რომ დაცული იყოს იმ პირის უფლებები, რომელიც განთავსებულია მიმღებ ცენტრში და მან ისარგებლოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებით, მის შესახებ მიმღებ ცენტრში არსებული პერსონალური მონაცემები ინახება მიმღები ცენტრის დატოვებიდან 3 წლის განმავლობაში, გარდა იმ პირის პერსონალური მონაცემებისა, ვისაც სამინისტროს ან სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში მიღებული გადაწყვეტილებით მიენიჭა საერთაშორისო დაცვა.
5. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე აღებული თითის ანაბეჭდები ინახება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან 10 წლის ვადით.
6. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამინისტროს მიერ მიღებული პერსონალური მონაცემები, თუ ის შეიცავს ამ პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ინფორმაციას, ინახება ნასამართლობის მოხსნამდე/გაქარწყლებამდე.
7. ანკეტირებისა და გასაუბრების მწარმოებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია წაშალოს კომპიუტერიდან ან კომპაქტური ელექტრონული მატარებლიდან ანკეტირებისა და გასაუბრების ოქმის ელექტრონული ვერსია მონაცემთა ბაზაში მათი გადატანისთანავე.
8. მონაცემთა ბაზაში შენახული პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს სისტემიდან მათი სრული წაშლით, ხოლო პირად საქმეში მატერიალური სახით არსებობის შემთხვევაში უნდა განადგურდეს მათი დაწვით, დაჭრით ან სხვა ფორმით, რაც შეუძლებელს გახდის მისი მომავალში აღდგენის შესაძლებლობას, ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამის უწყებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.